ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №558624

ნომერი: AR1109985

თარიღი : 15.02.2013

გაცემის თარიღი : 26.02.2013

გაცნობის თარიღი : 02.03.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხეთაგუროვი , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ვანიშვილი პ/ნ 01008043925
- თბილისი კ.კეკელიძის ქ. N 25 ბ. 187

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის – არსებულ შენობაში ანტრესოლის მოწყობის სამუშაოების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი,

რომელიც ეხება ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი - ჩუღურეთი), ხეთაგუროვის ქ. N6–ში მდებარე შენობაში, სს "მკურნალი 99"–ის კუთვნილ ფართში ანტრესოლის მოწყობის სამუშოების განხორციელებას.

თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

''მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (სს "მკურნალი 99"–ის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; რეგისტრაციის N882012933761, 04.05.12 წ. საკადასტრო კოდი N01.16.06.051.001.01.526; ესკიზური პროექტი, არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი - ჩუღურეთი), ხეთაგუროვის ქ. N6–ში მდებარე შენობაში, სს "მკურნალი 99"–ის კუთვნილ ფართში ანტრესოლის მოწყობის სამუშოების განხორციელების შესაძლებლობას.

სამუშაოების დაწყებამდე აღნიშნული შეთანხმდეს ფართის მესაკუთრესთან.

გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge